ხელშეკრულება № 3

ხელშეკრულების დადების ადგილი: შუახევი, სოფ: ხაბელაშვილები

ხელშეკრულების დადების თარიღი: „10 იანვარი.2014 წ

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

„შემსყიდველი"

მისამართი: ხაბელაშვილების საჯარო სკოლა

საბანკო რეკვიზიტები: -სახალხო ბანკის შუახევის ფილიალი, ბანკის კოდი -220101445-, ანგარიშის ნომერიGE21LBO121126821357000:საინდენტიფიკაციო კოდი: 247861595--

„მიმწოდებელი" ---ი/მ რევაზ შარაშიძე

მისამართი: სოფ ხაბელაშვილები

საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი,შუახევის ფილიალი.-ბანკის კოდი220101445,ანგარიშის ნომერი GE64LB0112142053004000.

ერთი მხრივ- შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის სკოლის სახურავისა და შესასვლელი ფოიეს გადახურვა. (შემდგომში საქონელი) ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1100(ათასას ლარს.)

1.3. ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული შესყიდვების ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება წარმოადგენს საორიენტაციო თანხას, შემსყიდველი არ არის ვალდებული შეიძინოს ზემოადნიშნულ პუნქტში დაფიქსირებული საქონელი.

2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის, რომელსაც ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები .

2.3. მიღებული საქონლის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელის მიერ ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მიღებული საქონლის ხარვეზების გამოსწორებისთვის და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშწორების ფორმა: უნაღდო

4.2 ანგარიშწორების ვალუტა: ქართული ლარი

5. ხალშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის შესახებ.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლიბელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიური ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ვერ შეძლეს სადაო საკითხების შეთანხმების მოგვარება ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. შეტყობინება

8.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

7.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

10. სხვა პირობები

10.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვაში.

10.4. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად. ორივე ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილეებთან და აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველის" მხრიდან

დირექტორი: ამირან ბერიძე

ხელმოწერა:

„მომწოდებლის" მხრიდან

ი/მ ;რევაზ შარაშიძე;

ხელმოწერა:

დეფექტური აქტი

შევადგინეთ ეს დეფექტური აქტი, ხაზელაშვილების საჯარო სკოლის დირექტორმა ამირან ბერიძემ, სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე თამაზ ბოლქვაძემ, პროფკავშირების თავჯდომარე დავით ბერიძემ. მასწავლებელმა რეზო ზოიზემ და ირაკლი დავითაძემ მასზედ, რომ 2014 წლის დასაწყისში მოსულმა თოვლმა მწყობრიდან გამოიყვანა სკოლის სახურავის გარკვეული ნაწილი კერძოდ 60 ცალი თუნუქის სახურავი 1,2×0,5 სულ 36-40 მ ^{2} გარდა ამისა მთლიანად დაანგრია შემოსასვლელი ფოე. 6მ×3მ . გადასახურად საჭიროა 25კვ.მეტ. თუნუქის სახურავი, დანარჩენი სახურავი საჭიროებს კოსმეტიკურ შეკეთებას.

დეფექტური აქტი, შედგენილია ჩვენს მიერ რაზედაც ვაწერთ ხელს.

ამირან ბერიძე

თამაზ ბოლქვაძე

დავით ბერიძე

რეზო ზოიძე

ირაკლიი დავითაძე

ი/მ. რევაზ შარაშიძე

10,01,2014 წელი

მიღება ჩაბარების აქტი

შევადგინეთ ეს აქტი ხაბელაშვილების საჯარო სკოლის დირექტორმა ამირან ბერიძემ და ი/მ რევაზ შარაშიძემ მასზედ, რომ ინდ/მეწარმემ რევაზ შარაშიძემ შეასრულა აღნიშნული სამუშაოები დეფექტური აქტიდან გამომდინარე, ხოლო სკოლამ შესაბამისად ჩაურიცხა ინდ/მეწარმეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 1100 ლ (ათასასი) ლარი.

სკოლის დირექტორი /ა.ბერიძე/

ინდ/მეწარმე /რ. შარაშიძე/

25.02.2014 წელი